სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/99

ქ. თბილისი

23 ივლისი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-04/71 დადგენილებაში საგანთა ჯგუფებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის 2021 წლის 22 ივლისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის №01-05-02/22 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე №3 საგანთა ჯგუფში და ნაცვლად „პროფესორი 1 (240); 2(120)“, ჩამოყალიბდეს „პროფესორი 2(240); 1(120)“.
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სამშენებლო ფაკულტეტის №10 საგანთა ჯგუფში და ნაცვლად „ასოცირებული პროფესორი 2(420); 3(210)“, ჩამოყალიბდეს „ასოცირებული პროფესორი 3(420); 1(210)“.

3. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ენერგეტიკის ფაკულტეტის №1 საგანთა ჯგუფში და ნაცვლად „პროფესორი 2(240); 3(120)“ და ასოცირებული პროფესორი 3(420); 5(210), ჩამოყალიბდეს „პროფესორი 2(240) ;1(120) და ასოცირებული პროფესორი 3(420); 4(210).“
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. კუტუბიძე**